



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/426

12 / დეკემბერი / 2018 წ.



KA000072109764518

ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N560309) შედეგების გაუქმების შესახებ

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებების (7 ერთეული) უპირობო ელექტრონული აუქციონით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2018 წლის 05 ნოემბრის, N04/255 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა უპირობო ელექტრონული აუქციონი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სატრანსპორტო საშუალებების (7 ერთეული) პრივატიზებასთან დაკავშირებით, მათ შორის საპრივატიზაციოდ გატანილი იყო სატრანსპორტო საშუალება TOYOTA DUTRO (სარეგისტრაციო ნომერი MCM 065, გამოშვების წელი - 1999, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის N CV0133161).

ელექტრონული აუქციონი ჩატარდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge, ლოტის N560309), რომელშიც მის მიერ შემოთავაზებული თანხის 3036.00 (სამი ათას ოცდათექვსმეტი) ლარის საფუძველზე გაიმარჯვა ფიზიკურმა პირმა რემო ქოჩორაშვილმა (პირადი N31001003093), მისამართი: ქალაქი მცხეთა, სოფელი მისაქციელი, 1-ლი ქ. N 178, რომელზეც 2018 წლის 20 ნოემბერს გაიცა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N18.

ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის საფუძველზე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში ფორმდება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო მყიდველს არ ეძლევა საკუთრების უფლება ქონებაზე, ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა ან/და აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის შექნილი ქონების სრული ღირებულება.

ამასთან, აუქციონში გამარჯვებულს აუქციონში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე (rezokochorashvili@yahoo.com) გაეგზავნა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N18 და ეთხოვა ოქმში მითითებულ ვადაში გამოცხადებულიყო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

აუქციონში გამარჯვებული ფიზიკური პირი რემო ქოჩორაშვილი (პირადი N31001003093) ოქმში მითითებულ ვადაში არ გამოცხადდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ამდენად, უნდა გაუქმდეს ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N560309) შედეგები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. გაუქმდეს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge) ჩატარებული ელექტრონული აუქციონის (აუქციონის N29193, ლოტის N560309) შედეგები.

მუხლი 2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დაბრუნდეს სატრანსპორტო საშუალება TOYOTA DUTRO (სარეგისტრაციო ნომერი MCM 065, გამოშვების წელი - 1999, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობის N CV0133161), ფიზიკური პირი რემო ქოჩორაშვილზე არ გაიცეს საკუთრების უფლების მონაწილეობა და მის მიერ გადახდილი „ბე“ 184.00 (ასოთხმოცდაოთხი) ლარი სრულად ჩაირიცხოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუხლი 3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილებამ ქალაქ ფოთის


მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე (www.poti.gov.ge) გამოაქვეყნოს წინამდებარე ბრძანების პირველ და მეორე მუხლში აღნიშნული ინფორმაცია.

მუხლი 4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ტურიზმისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსს ლევან ჩოჩიას.

მუხლი 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემტრონულად 

გონა კურდღელია